საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-5/3510
06/04/2023

3510-15-5-2-202304061559

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ შალვა პაპუაშვილს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

პენიტენციური კოდექსის პროექტთან დაკავშირებით

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო შალვა,

საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში ზედამხედველობას უწევს პენიტენციური დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უფლებების დაცვას, საქმეთა ინდივიდუალური შესწავლის და დაწესებულებათა სისტემური მონიტორინგის შედეგად, გასცემს რეკომენდაციებს და წინადადებებს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომაროების გაუმჯობესების მიზნით კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე.

საგულისხმოა, რომ პენიტენციური კოდექსის პროექტის შემუშავების პროცესში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოსაზრებები[1] წარუდგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. მოგვიანებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრაზე განხილული იქნა აპარატის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხები და რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ გაზიარებული იქნა რამდენიმე რეკომენდაცია, მაგ. კანონით ბრალდებულების 4 კვ.მ.-ის მინიმალური საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ვალდებულება, ასევე, ამოღებული იქნა დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო შემოწმების თაობაზე ცნობა მის პირად (არასამედიცინო) საქმეში შენახვის წესი და სხვა.

[1] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 12 ივლისის N15-5/7065 წერილი.

მიუხედავად თანამშრომლობის დადებითი შედეგისა, პენიტენციური კოდექსის პროექტი კვლავ შეიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხს, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს პატიმართა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, კერძოდ,

- **თავი IV. მოსამსახურე. სამსახურში მიღება და სამსახურის გავლა**

ამ თავში მკაფიოდ უნდა გაიწეროს დადგენილ ვადებში მოსამსახურეთა რეგულარული გადამზადების ვალდებულება ისეთ საკითხებში, როგორიც არის ძალის გამოყენება, კრიზისული შემთხვევის არაძალისმიერი მეთოდებით მართვის უნარები და დეესკალაციის მეთოდები, ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევების მართვის მეთოდები, დინამიკური უსაფრთხოების პრინციპები, ადამიანის უფლებები და ა.შ.[2] კოდექსით განისაზღვროს თანამშრომელთა გადამზადების შედეგად მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების სუპერვიზიის ეფექტიანი მექანიზმის შექმნის ვალდებულება.[3] ამ კუთხით მნიშნელოვანია რეჟიმის და უსაფრთხოების თანამშრომლების, როგორც საწყის ეტაპზე მომზადების, ასევე რეგულარული გადამზადების ვალდებულება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, დაინერგოს სპეციალური ტრენინგები იმ თანამშრომლებისთვის, ვისაც უწევს ურთიერთობა განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრებთან (ქალები, ბავშვები, ფსიქიკური ჯანმრთლობის პრობლემების მქონე პირები, LGBT+).

პენიტენციური კოდექსის პროექტში არ არის გათვალისწინებული რეკომენდაცია დადგენილ ვადებში მოსამსახურეთა რეგულარული გადამზადების ვალდებულების თაობაზე. მეტიც, საქართველოს კანონში „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ მეტი დებულება იყო გაწერილი მოსამსახურეთა გადამზადების თაობაზე, კერძოდ სასწავლო კურსის გავლის შემდგომ მიღებული სერტიფიკატის 3 წლიანი ვადის თაობაზე. პროექტი ამ ვადას აღარ ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ პენიტენციური კოდექსის პროექტი მითითებას აკეთებს მინისტრის ბრძანებაზე, რომელმაც უნდა განსაზღვროს სამსახურის გავლის სპეციალური წესები, მნიშნელოვანია, რომ რეგულარული გადამზადების და ვადიანი სერტიფიცირების ვალდებულება კანონშივე იყოს განსაზღვრული.

საყურადღებოა სამსახურში მიღების სპეციალური პირობები და სამსახურში მიღებისას მოსამსახურის სწავლების პირობები. პენიტენციური კოდექსის პროექტის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „მოსამსახურე, რომლისთვისაც მინისტრის ბრძანებით დადგენილია საამისო ვალდებულება, **გამოსაცდელი ვადის განმავლობაში გადის მომზადების შესაბამის სპეციალურ სასწავლო კურსს** (შემდგომ – სასწავლო კურსი) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში. ამ პერიოდში მოსამსახურე სამსახურებრივ

[2] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში, გვ. 68-69, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022050612391096568.pdf [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

[3] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის ანგარიში, გვ. 43, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040513192545317.pdf [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

საქმიანობას ახორციელებს სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის ზედამხედველობით.“ ამავე მუხლით გამოსაცდელი ვადა შესაძლოა გაგრძელდეს 6 თვემდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოდექსის პროექტი არ ადგენს ვალდებულებას მოსამსახურემ სამუშაო ფუნქციების განხორციელებამდე გაიაროს სპეციალური მომზადება და შეიძინოს სპეციალური უნარები. მოსამსახურე პირდაპირ იწყებს მუშაობას და სამუშაოს პარალელურად 6 თვის განმავლობაში შეუძლია სპეციალური კურსის გავლა.

- **თავი VIII. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები**

პენიტენციური კოდექსის პროექტის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული არ სარგებლობს: განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლებით. მოქმედ კანონთან შედარებით მსჯავრდებულს ეზღუდება ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში დაწესებულების დროებით დატოვების უფლება. მიუხედავად საშიშროების მაღალი რისკისა, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობის ქონა.

- **თავი X. პატიმრობის აღსრულების წესი**

პენიტენციური კოდექსის პროექტის 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191^1 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, თუ მოსამართლის განჩინებით სამსახურის გენერალურ დირექტორს დაევალება შესაბამისი ბრალდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება, აღნიშნული ბრალდებულის პატიმრობის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის გენერალური დირექტორი, თუ ამ ღონისძიების გამოყენება აუცილებელია ბრალდებულის უსაფრთხოებისათვის.

სასამართლოსა გადაწყვეტილების იმპერატიული ძალის და შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის შესაბამისად, თუ სასამართლომ განჩინებით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის შეფასებას აღარ უნდა საჭიროებდეს გადაიყვანოს თუ არა პატიმარი სხვა დაწესებულებაში, არამედ პირდაპირ უნდა შესრულდეს განჩინება. ამიტომ, მიგვაჩნია მიზანშეწონილად პენიტენციური კოდექსის პროექტის 48-ე მუხლის მე-27 ნაწილის ბოლო წინადადების ამოღება. გასათვალისწინებელია, რომ პრაქტიკაში სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებებს ხშირად არ იღებს. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს საერთო სასამართლოების საქალაქო (რაიონულმა) სასამართლოებმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191^1 მუხლის საფუძველზე საგამოძიებო ორგანოს მიმართეს 106 შემთხვევაში, რადგან გაუჩნდათ ეჭვი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის განხორციელების თაობაზე ან თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განიცხადა სასამართლოს (მონაცემებში მოიაზრება ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის საქმეებიც).[4] შესაბამისად, რესურსების ნაკლებობით ან/და დაწესებულების გადატვირთულობის მიზეზებით აღსრულების პრობლემაც არ შეიქნება.

- **თავი XI თავისუფლების აღკვეთის აღსრულება**

პენიტენციური კოდექსის პროექტით არ არის გათვალისწინებული სახალხო დამცველის რეკომენდაცია პატიმრების **განცალკევების მაქსიმალური ვადის განსაზღვრის** შესახებ, ასევე, განცალკევების ღონისძიების გადასინჯვის ვალდებულება, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით.

2015 წელს საქართველოში ვიზიტის შესახებ, წამების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებელი ყურადღებას ამახვილებს პატიმრების იზოლირების პრაქტიკაზე და აღნიშნავს, რომ თვეების მანძილზე პირთა განცალკევებით მოთავსება შესაძლოა გაუტოლდეს წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და ზრდის პატიმრების მხრიდან საკუთარი ან სხვისი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საფრხის შექმნის რისკს. სპეციალური მომხსენებლის შეფასებით, განცალკევებით მოთავსებას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც პატიმარი ფიზიკურად და სოციალურად იზოლირებულია საკანში, დღე-ღამის განმავლობაში 22 საათიდან 24 საათამდე დროით. იგი ხანგრძლივ განცალკევებად მოიაზრებს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც ასეთი განცალკევების ხანგრძლივობა 15 დღეს აღემატება, ვინაიდან, როგორც ეს ლიტერატურაშია მითითებული, ამ პერიოდის შემდეგ პატიმრისათვის მიყენებული ფსიქოლოგიური ზიანი შეიძლება შეუქცევადი გახდეს. ასევე, მიიჩნევს, რომ რაც უფრო ხანგრძლივია განცალკევებით მოთავსება ან რაც უფრო გაურკვეველია, თუ რამდენი ხნით მოუწევს პატიმარს განცალკევებით ყოფნა, მით უფრო დიდია პატიმრისათვის სერიოზული და გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რისკი, რაც წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს და უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში, წამებასაც.[5]

2021 წელს განხორციელებული ვიზიტების შედეგად გაირკვა, რომ გასული წლების მსგავსად, დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში პატიმრების ხანგრძლივი დროით იზოლირების პრაქტიკა კვლავ პრობლემად რჩება. №2, №3, №6 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში, 2020 წლის მსგავსად, 2021 წელსაც ხშირად გამოიყენებოდა პატიმრების იზოლირება. №3 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის დროს, დაწესებულებაში სულ 45 პატიმარი იმყოფებოდა და მათ შორის, საკანში მარტო განთავსებული იყო 34 პატიმარი. აღსანიშნავია, რომ მათი რიცხვი 2020 წელს განხორციელებული ვიზიტის დროსაც 34-ს შეადგენდა. №6 დაწესებულებაში ვიზიტის

---

[4] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 23 იანვრის N 12-3/824 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 8 თებერვლის N3-85-23 წერილები.

[5] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 21-ე ზოგადი მოხსენება, პარა. 55. CPT/Inf (2011) 28 < https://rm.coe.int/1680696a88 > [ბოლოს ნანახია: 15.03.2023] იხ ასევე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, ჰარაკჩიევი და ტოლუმოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (HARAKCHIEV AND TOLUMOV v. BULGARIA) App. nos. 15018/11 and 61199/12, პარა. 204. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < https://bit.ly/3tX4ZqQ > [ბოლოს ნანახია: 15.03.2023]

დროს გაირკვა, რომ 2020 წლის მსგავსად, პატიმრების ნახევარზე მეტი მოთავსებული იყო განცალკევებით.[6]

საერთაშორისო სტანდარტებიდან და არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მნიშვნელვონად მიიჩნევს განცალკევების მაქსიმალური ვადის კანონის დონეზე განსაღვრას და 14 დღიანი ინტერვალით მისი გადასინჯვის ვალდებულებას. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიხედვით პატიმრის განცვალკევების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს.[7]

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 21 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა №1676 კონსტიტუციური სარჩელი „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო N3 და N6 პენიტენციური დაწესებულებების დებულებების ის ნორმები, რომელიც შეეხებოდა ერთადგილიან საკანში მსჯავრდებულის შესახლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურას. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ერთადგილიან საკანში მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გამწესების დროს გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს განსაზღვრული ვადით, წერილობით და დასაბუთებულად, მისაღები გადაწყვეტილება სავალდებულო წესით უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალური შეფასებისა და გამოკვლევის შედეგებს და ითვალისწინებდეს პენიტენციური დაწესებულების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილების პერიოდული შეფასების ვალდებულებას. გარდა ამისა, მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქმედითი და ეფექტიანი გასაჩივრების უფლებით, რასაც სადავო ნორმებით დადგენილი წესი არ ითვალისწინებდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშნელოვანია პენიტენციურ კოდექსში აისახოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.[8]

- **თავი XII პენიტენციური დაწესებულების ფუნქციონირება. პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოება**

პენიტენციური კოდექსის პროექტის 58-ე მუხლის მე-5 ნაწილში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „დაუშვებელია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელება საერთო სარგებლობის საშხაპეებში, საერთო სარგებლობის საპირფარეშოებსა და ხანგრძლივი პაემნებისათვის განკუთვნილ ოთახებში, გარდა მეთვალყურეობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში განხორციელებისა. საერთო სარგებლობის საპირფარეშოებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების თავიდან ასაცილებლად". განმარტებით

---

[6] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიშში, გვ. 42, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022050612391096568.pdf [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

[7] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 21-ე ზოგადი მოხსენება, პარა. 56. CPT/Inf (2011) 28 < https://rm.coe.int/1680696a88 >, [ბოლოს ნანახია: 15.03.2023]

[8] სქოლიო: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/10/1676 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ. პარა: III-1. ხელმისაწვდომია https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14682 [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

ბარათში კი მითითებულია, რომ გათვალისწინებულ იქნა სახალხო დამცველის რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ საერთო სარგებლობის საპირფარეშოებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელება მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების თავიდან ასაცილებლად დაიშვება. აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს სახალხო დამცველის რეკომენდაციას. სახალხო დამცველის წლების განმავლობაში და პენიტენციური კოდექსის პროექტზე წარდგენილ მოსაზრებებშიც გასცემდა შემდეგი შინაარსის რეკომენდაციას „შევიდეს ცვლილება და გაკეთდეს ჩანაწერი, რომლის თანახმად, **საკანში არსებულ საპირფარეშოებში არ შეიძლება მიმდინარეობდეს მეთვალყურეობა**.“[9]

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დაუშვებელია საპირფარეშოზე ელექტრონული საშუალებებით დაკვირვება, როგორც საერთო სარგებლობის, ასევე ინდივიდუალურ საპირფარეშოებში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მაღალია თვითდაზიანების ან სუიციდის რისკი, შესაძლოა განხორციელდეს ვიზუალური მეთვალყურეობა, მხოლოდ რეალური და იმწუთიერი რისკის არსებობის შემთხვევაში, ისიც უშუალოდ საპირფარეშოთი სარგებლობის პროცესზე დაკვირვების გარეშე. ამ კონტექსტში, მიზანშეწონილია ინფრასტრუქტურის ადაპტირება იმგვარად, რომ პატიმრის უსაფრთხოების დაცვა უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში. ანალოგიური მიზნით, ინფრასტრუქტურა აპრობირებულია თბილისის N1 და N2 დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ასევე გურჯაანის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც საპირფარეშოს ზედა მხარეს გაკეთებულია მცირე სარკმელი ისე, რომ არ გამოჩნდეს დაკავებულის ტანი და სხეულის ინტიმური ნაწილები.

უნდა აღნიშნოს, რომ სუიციდის პრევენცია, რა თქმა უნდა, აუცილებელია და შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანსაც წარმოადგენს, მაგრამ კანონი უშვებს ვიდეო მეთვალყურეობის შესაძლებლობას საერთო სარგებლობის საპირფარეშოში, რომლითაც ისეთი პატიმრებიც შეიძლება სარგებლობდნენ, რომლებსაც არ აქვთ სუიციდური მიდრეკილებები და ამგვარ შემთხვევაში ელექტრონული მეთვალყურეობა აშკარად არაპროპორციულია.

პენიტენციური კოდექსის პროექტით არ არის გათვალისწინებული სახალხო დამცველის რეკომენდაცია პატიმრის შემოწმების დროს **სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების აკრძალვის** თაობაზე. [10]

პენიტენციური კოდექსის პროექტის 58-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელებისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას მასალის დაარქივების შესახებ, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მისი

---

[9] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის ანგარიში, გვ. 51, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040513192545317.pdf [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

[10] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში, გვ. 48, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022050612391096568.pdf [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

მტკიცებულებად გამოყენების მიზნით. დაარქივებული მასალა ინახება დისციპლინური სამართალწარმოების დასრულებიდან, ხოლო დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში - სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადით.

მისასალმებელია, რომ პროექტის შემუშავების პროცესში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პოზიცია დისციპლინური დარღვევის ამსახველი ვიდეო ჩანაწერის შენახვის აუცილებლობასა და საჭიროებაზე გაზიარებული იქნა. თუმცა, ნორმა ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ ჩანაწერების დაარქივება დაწესებულების დირექტორის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს და არა ვალდებულებას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხსენებული ნორმის ჩამოყალიბება შემდეგი სახით: „დაწესებულების დირექტორი ვალდებულია შეინახოს დისციპლინური საქმისწარმოების მასალებთან ერთად ვიდეო ჩანაწერი იმ შემთხვევაში, თუ დირექტორის წინაშე არ არის წარმოდგენილი პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებები." რაც შეეხება დაარქივებული ვიდეო ჩანაწერის შენახვის ვადებს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დასრულებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადით განისაზღვრება, მივიჩნევთ, რომ საჭიროებს ცვლილებას. საქმე ისაა, რომ პენიტენციური კოდექსის პროექტის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დისციპლინური სახდელის განკარგულების სასამართლოში გასაჩივრების ვადა მისი გადაცემიდან 10 დღეს შეადგენს. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია, სასამართლო დავის შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს ნეიტრალური მტკიცებულების - ვიდეო ჩანაწერის მოპოვება. ხოლო მისი შენახვისთვის საქმის წარმოებიდან დასრულებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადით შენახვა, განკარგულების გამოცემის ე.ი. დისციპლინური საქმის წარმოების დასრულების თუნდაც მეორე დღეს ჩანაწერების წაშლის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საკანონმდებლო აქტში სიტყვა „არაუმეტეს“ შეიცვალოს სიტყვით „ არანაკლებ“.

- **თავი XIII ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობა. მსჯავრდებულის დისციპლინური პატიმრობა**

პენიტენციური კოდექსის პროექტით არ არის გათვალიწინებული სახალხო დამცველის რეკომენდაცია **დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის გაუქმების** შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება.[11] აღნიშნულზე მიუთითებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი საქართველოში 2018 წელს განხორციელებულ ვიზიტის შემდგომ ანგარიშში. [12]

---

[11] საქართველოს სახალხო დამცველმა, 2021 წლის 22 ივლისს, №1633 საკონსტიტუციო სარჩელით გაასაჩივრა პატიმრობის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც დისციპლინური სახდელის სახით ითვალისწინებს გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლების შეზღუდვას. საკონსტიტუციო სარჩელი ხელმისაწვდომია:< https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11961 > [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

[12] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარა. 100, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < https://rm.coe.int/1680945eca > [ბოლოს ნანახია: 15.03.2023]. იხილეთ ასევე გაეროს წამების პრევენციის

არ არის გათვალისწინებული სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც უნდა გაუქმდეს დისციპლინური ღონისძიების სახით **სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრისთვის ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების, სატელეფონო საუბრის, კვების პროდუქტების შეძენის აკრძალვა.**

პენიტენციური კოდექსის პროექტის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დისციპლინური დარღვევისათვის გამოყენებული სახდელი უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული.

არ არის გათვალისწინებული სახალხო დამცველის რეკომენდაცია **დისციპლინური დარღვევის სახეების** (ნაკლებად მძიმე დარღვევა, მძიმე დარღვევა და განსაკუთრებით მძიმე დარღვევა) და დარღვევის თითოეული სახის მიმართ შესაბამისი სახდელების (სახდელის სიმკაცრის გრადაცია) დადგენის შესახებ.[13]

დარღვევასთან სახდელის პროპორციულობის უფრო მეტად აღქმადობის და პენიტენციური დაწესებულებების დირექტორების მხრიდან მეტნაკლებად თანმიმდევრული პრაქტიკის წარმოების ხელშეწყობისა და თვითნებობისთვის ნაკლები სივრცის არსებობის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩამოყალიბდეს დისციპლინური გადაცდომების კატეგორიები (მაგალითად, მსუბუქი, მძიმე და განსაკუთრებით მძიმედ მოხდეს კლასიფიცირება ან მსუბუქი და მძიმე) და განისაზღვროს კატეგორიის შესაბამისი სხვადასხვა სახდელები. ამასთან, პენიტენციური დაწესებულების დირექტორებს, რა თქმა უნდა, უნდა ჰქონდეთ რამდენიმე სახდელიდან ყველაზე ადეკვატური სახდელის გამოყენების შესაძლებლობა, თუმცა, უსამართლოდ მიგვაჩნია, რომ დირექტორს შეუძლია ნებისმიერი სანქციის გამოიყენება ნებისმიერი გადაცდომისთვის. რაც შეეხება გადაცდომის სახეების დეფინიციების განსაზღვრას, ვფიქრობთ, ხსენებული საკითხი პენიტენციური სამსახურის პოლიტიკის სფეროა, კერძოდ, მსჯელობა რომელი კონკრეტული გადაცდომა მიიჩნიოს ციხის უსაფრთოებისა და წესრიგისთვის მეტი ან ნაკლები საშიშროების მქონედ. თუმცა ეს წესი აუცილებლად საკანონმდებლო დონეზე უნდა აისახოს. მაგალთად, კონკრეტული მუხლით, ნაწილით ან ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომისთვის განისაზღვროს და მიეთითოს ასევე კონკრეტულ მუხლში, ნაწილში ან ქვეპუნქტში აღნიშნული სახდელი ან სახდელებიდან ერთ-ერთი. ასევე, შესაძლებელია, კანონით დადგინდეს გადაცდომების განზრახ, განმეორებით და არაერთგზის ჩადენისთვის უფრო მძიმე კატეგორიის სახდელის გამოყენების შესაძლებლობა.

ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კოდექსით დისციპლინური გადაცდომების ორ ან სამ კატეგორიად დაყოფა და კონკრეტული სახდელების მისადაგება. ხოლო

ქვეკომიტეტის ანგარიში 2019 წლის 27 იანვარი - 7 თებერვლის შვეიცარიაში ვიზიტის შემდგომ. პარა. 94. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3pSf44A [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

[13] მაგალითისთვის, საფრანგეთის პენიტენციური კოდექსი დისციპლინურ დარღვევებს ყოფს სამ ხარისხად და ე.წ. დისციპლინარულ საკანში მოთავსების ვადაც დამოკიდებულია დარღვევის ხარისხზე, <https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000045476241/LEGISCTA000045488574/#LEGISCTA000045493198 >

საგამონაკლისოდ მითითება გადაცდომის რამდენიმე თვის განმავლობაში (ე.წ. რეციდივი) განმეორებით, განზრახ ჩადენისთვის უფრო მძიმე კატეგორიის შესაბამისი გადაცდომისთვის დაწესებული სახდელის შერჩევის შესაძლებლობა.

პენიტენციური კოდექსის პროექტის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი სახეა კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არა უმეტეს წელიწადში 6-ჯერ. საგულისხმოა, რომ მოქმედი კანონის მსგავსი დებულება სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა და მიიჩნევს, რომ პატიმრის ოჯახთან ურთიერთობის სხვადასხვა შესაძლებლობის, თუნდაც, ნაწილობრივი შეზღუდვა, შეუძლებელია გამართლებული იქნეს, მარტო დისციპლინური სანქციის დაკისრებით, როდესაც პარალელურად არ არსებობს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მომეტებული ინტერესი. მხოლოდ დისციპლინური სანქციის დაკისრების საჭიროება, თუნდაც, მძიმე დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, რომელსაც თან არ სდევს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომეტებული საჯარო ინტერესი, ვერ გადაწონის ამ უფლებათა კონსტიტუციურ-სამართლებრივ მნიშვნელობას. სახდელები ვერც ამ მხრივ აკმაყოფილებენ პროპორციულობის მოთხოვნებს და საჭიროზე მეტად ზღუდავენ პატიმრისა და მისი ოჯახის წევრთა კომუნიკაციის შესაძლებლობას.[14] საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო.[15]

პენიტენციური კოდექსის პროექტის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დისციპლინური დარღვევის საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. თუ დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მიღება, მას უფლება აქვს, საქმე ზეპირი მოსმენით განიხილოს.

მოქმედი კანონის მსგავსად, დისციპლინური საქმის განხილვა კვლავ რუტინულად შენარჩუნებულია ზეპირი მოსმენის გარეშე და ზეპირი მოსმენის ჩატარება მხოლოდ დირექტორის შეხედულებით მოხდება. შესაბამისად, პატიმართა დისციპლინური საქმისწარმოების თვალსაზრისით, რაზეც სახალხო დამცველი წლებია მიუთითებს, სამწუხაროდ არაფერი იცვლება, გარდა ერთი დადებითი სიახლისა. კერძოდ, პროექტის 58-ე მუხლის მე-9 ნაწილი დისციპლინური დარღვევის ამსახველი ვიდეო ჩანაწერის დაარქივების შესაძლებლობას (არა ვალდებულებას) განსაზღვრავს მისი მტკიცებულებად გამოყენების მიზნით.

პენიტენციური კოდექსის პროექტის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ჰყავდეს ადვოკატი. ასევე, 73-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნულია: ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელსაც ბრალად ედება

---

[14] საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი N1633 იხ. < https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11961 >

[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 3 ნოემბრის N1/5/1633 საოქმო ჩანაწერი საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. იხ. < https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14315 >

დისციპლინური დარღვევის ჩადენა, უფლება აქვს ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, მათ შორის, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ამას თავად მოითხოვს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში. გაუგებარია, რატომ არ ეძლევათ პატიმრებს საშუალება, ზეპირ განხილვაშიც ყოველთვის მიიღოს ადვოკატმა მონაწილეობა. ადვოკატის მონაწილეობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ დისციპლინური საქმისწარმოების ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, პროცესში ადვოკატის ყველა შემთხვევაში მონაწილეობის შესაძლებლობის ქონა პროცედურულ ნაწილში არსებულ ხარვეზების დამზღვევი მექანიზმი შეიძლება იყოს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში **დამატებითი გარანტიის[16] სახით, დისციპლინური სახდელის დაკისრების განკარგულების გასაჩივრებისას** განისაზღვროს სასამართლოს ვალდებულება გაათავისუფლოს პატიმარი ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან, თუ პატიმარი წარმოადგენს საბანკო ამონაწერს პენიტენციურ სისტემაში ყოფნის პერიოდში მისი ფინანსური ბრუნვის შესახებ, რაც დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში მისი ყოველთვიური შემოსავალი 100 ლარზე ნაკლები იყო. გონივრული თანხის ოდენობა, ცხადია, შეიძლება გახდეს დამატებითი მსჯელობის საგანი, მთავარი ისაა, რომ პატიმრებს ჰქონდეთ სასამართლოში კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა.

საგულისხმოა, რომ სამუშაო შეხვედრისას იუსტიციის სამინისტრომ/პენიტენციური სამსახურმა გაიზიარა სახალხო დამცველის აპარატის ზემოხსენებული პოზიცია, თუმცა პენიტენციური კოდექსის პროექტში მისი ასახვა ვერ მოხერხდა მისი გავრცელების სფეროს გამო. კერძოდ, საქართველოს საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციული დავის წარმოებისას ბაჟის გადახდის და მისგან გათავისუფლების საკითხი დარეგულირებულია საპროცესო კანონმდებლობით და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საკანონმდებლო დონეზე სახალხო დამცველის მრავალწლიანი რეკომენდაციის ასახვა, რომ ბაჟის გადაუხდელობის საფუძვლით პატიმრებს არ შეეზღუდოთ სახდელის სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

- **თავი XV. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება**

პენიტენციური კოდექსის პროექტის 91-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევას, მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი

[16] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში“, 2019, 38-40, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf>

დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

პირობით ვადამდე გათავისუფლების კრიტერიუმების გაფართოებაზე, საკითხის ზეპირი ფორმით განხილვასა თუ სხვა საკითხებზე სახალხო დამცველს გაცემული აქვს რეკომენდაციები. შემოთავაზებულ პროექტში ცვლილებები არ არის ასახული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სამუშაო შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხზე იმ ეტაპზე არაფერი იცვლებოდა და მოიაზრებოდა ცალკე საკითხად მუშაობა, ვინაიდან ეს თემა მეტად კომპლექსურია. აპარატი იზიარებს მოსაზრებას, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული მიმართულებით საჭიროებს დეტალურ და კომპლექსურ გადამუშავებას. მათ შორის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კოდექსში განისაზღვროს პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენების ჩატარების სავალდებულო კრიტერიუმები. ამავე დროს, ადგილობრივ საბჭოს შეუნარჩუნდეს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში დამატებით ჩაატაროს ზეპირი განხილვა.[17] საგულისხმოა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით არის რეგლამენტირებული. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატი დაიტოვებს იმედს, რომ იუსტიციის სამინისტრო/სპეციალური პენიტენციური სამსახური, მოცემულ საკითხზე განახორციელებს აქტიურ მუშაობას, მათ შორის სახალხო დამცველის მიერ გამოკვეთილი პრობლემებისა და ხარვეზების[18] აღმოფხვრის მიზნით..

- **თავი XVII მოთხოვნა და საჩივარი**

პენიტენციური კოდექსის პროექტით არ არის გათვალისწინებული სახალხო დამცველის შემდეგი რეკომენდაცია - „განისაზღვროს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ **სამედიცინო ხასიათის მოთხოვნის/საჩივრის განხილვის სპეციალური, გონივრული ვადა,** რათა მოთხოვნის/საჩივრის დროული განხილვის გზით მოხდეს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილება“.

ამასთან არც პატიმრობის კოდექსის მოქმედ რედაქციაში და არც პენიტენციური კოდექსის პროექტში საჩივრის ადრესატად საერთოდ არ არის მითითებული გენერალური ინსპექცია და შესაბამისად, არ არის განსაზღვრული არც საჩივრის განხილვის ვადები.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის თანახმად, მნიშნელოვანია, კოდექსით განისაზღვროს პატიმრის უფლება პირდაპირ მიმართოს იუსტიციის მინისტრს ყოველგვარი ქვედა ინსტანციების გავლის მოთხოვნის გარეშე. შემოთავაზებული

---

[17] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში, 77; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში“ გვ. 56 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf>

[18] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში“ <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf > საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, გვ. 56-69 < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf >

რედაქციით მინისტრს მიმართავს მხოლოდ სამსახურის გენერალური დირექტორის საქმიანობაზე საჩივრით. სხვა შემთხვევებში, თუ საჩივარი თანამშრომელს ეხება - დირექტორს. თუ დირექტორმა უარი განაცხადა დაკმაყოფილებაზე ან თუ საჩივარი დირექტორს ეხება, მაშინ მიმართავს გენერალურ დირექტორს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ამ პროცედურის დაუცველობა არ უნდა გახდეს საჩივრის განხილვაზე უარის თქმის მიზეზი. უნდა მოხდეს პატიმრის მოწყვლადი მდგომარეობის გათვალისწინება და პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დირექტორის ინფორმირების გარეშე მიმართოს ზემდგომებს.

ყურადსაღებია, რომ საჩივრის შეტანის ზოგადი წესით, პენიტენციური კოდექსის პროექტის 101-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით საჩივრის შეტანა შესაძლებელია შესაბამისი საფუძვლის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში. საჩივრის შეტანისათვის 1 თვიანი ვადის დაწესებას სახალხო დამცველი გაუმართლებელ შეზღუდვად მიიჩნევს. [19]

აქვე საყურადღებოა პენიტენციური კოდექსის პროექტის 101-ე მუხლის მე-3 ნაწილში არსებული ჩანაწერი „საჩივრის შეტანა შესაძლებელია წერილობითი ფორმით“. მნიშვნელოვანია იუსტიციის სამინისტრომ საჩივრის მიღების პროცედურად დანერგოს სატელეფონო შეტყობინებით საჩივრის მიღების წესიც, ვინაიდან მონიტორინგის ვიზიტებისას იკვეთება საწერი საშუალებების, წერილების დაკარგვის და სახელმწიფო ენის და წერის ცოდნის პრობლემა. ამიტომ მნიშვნელოვანია, საჩივრის მიღება მოხდეს სატელეფონო ოქმის სახითაც და აღნიშნულმა ჩანაწერმა არ უნდა დააბრკოლოს საჩივრის შეტანის შესაძლებლობა.

პენიტენციური კოდექსის პროექტის 102-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს საჩივრით საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს/სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

აღნიშნული წარმოადგენს საკანონმდებლო ტექნიკის საკითხს, თუმცა მიგვაჩნია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფი და სპეციალური საგამოძიებო სამსახური ცალ-ცალკე უნდა ეწეროს. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციას სახალხო დამცველი ასრულებს გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმის შესაბამისად, ხოლო სპეციალური საგამოძიებო სამსახური ეროვნულ დონეზე არსებული სახელმწიფო უწყებაა, რომელსაც არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების უფლებამოსილება აქვს. შესაბამისად, სრულიად განსხვავდება ფუნქციებით და უფლებამოსილებით და მნიშვნელოვანია პატიმრებს არასწორი აღქმა არ გაუჩნდეთ. გარდა ამისა, უწყებათა ჩამონათვალში უნდა დაემატოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციაც, როგორც სხვა ნორმებში, სადაც პატიმრის მიერ უწყებების ცხელ ხაზებზე სატელეფონო ზარის უფლებაზეა საუბარი.

---

[19] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის ანგარიშში, გვ. 213-214, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040513192545317.pdf [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

პენიტენციური კოდექსის პროექტის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჩივრების ყუთი უნდა განთავსდეს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ყველა ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ხელმისაწვდომ ადგილას. პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე შეიძლება განთავსდეს საჩივრების რამდენიმე ყუთი.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომ საჩივრების ყუთი არ უნდა იყოს სათვალთვალო ვიდეოთვალის მხედველობის არეალში, გათვალისწინებული არ არის. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პატიმრების საჩივრების თავისუფლად, თვალთვალის გარეშე გაგზავნის შესაძლებლობის ქონა.

- **თავი XVIII. ბრალდებულისა და მსჯავრდებულის საცხოვრებელი პირობები**

მნიშვნელოვანია დახურულ ტიპის დაწესებულებებში გასეირნების დროის გაზრდა. მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულოა არანაკლებ ერთი საათით გასეირნება პრაქტიკაში ეს 1 საათს არასოდეს ცდება და დაწესებულებები მინიმუმით კმაყოფილდებიან.[20] აქედან გამომდინარე უმჯობესია კოდექსში მიეთითოს უფრო მაღალი მინიმალური ზღვარი და მიუახლოვდეს CPT რეკომენდაციას. [21] კერძოდ, CPT მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას ქმედითი ნაბიჯები ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის შესაბამისი აქტივობების პროგრამების შესამუშავებლად, რომლის მიზანი უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ პატიმრებს შეეძლოთ დღის გონივრული ნაწილის (8 საათი ან მეტი) გატარება საკნების გარეთ და მრავალფეროვანი და მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელება (სამუშაო, განათლება, სპორტი და ა.შ.)

- **თავი XIX. ბრალდებულისა და მსჯავრდებულის კომუნიკაცია გარესამყაროსთან**

სახალხო დამცველი წლებია გასცემს რეკომენდაციას - „შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებსა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებს გაეზარდოთ პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა“.[22] თუმცა პენიტენციური კოდექსით არ შეცვლილა ოდენობა, პირიქით დახურულის შემთხვევაში გაუარესდა. ახალი **კოდექსი ითვალისწინებს წელიწადში 1 ხანგრძლივ პაემანს, მაშინ როდესაც მოქმედი 2-ს ითვალისწინებს.**

არ არის გათვალისწინებული სახალხო დამცველის რეკომენდაცია - „შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის 77-ე და 79-ე მუხლებში და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდებულს გარე სამყაროსთან კონტაქტი შეეზღუდოს მხოლოდ

---

[20] აღნიშნულ პრობლემაზე იხილეთ ვრცლად პრევენციის მექანიზმის 2021 წლიური ანგარიში, გვ. 83.ხელმისაწვდომია < https://ombudsman.ge/res/docs/2022050612391096568.pdf > [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

[21] 2021 წლის 27 -24 მაისის წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ad hoc ვიზიტის შემდგომი ანგარიში. პარა. 25. ხელმისაწვდომია < https://rm.coe.int/1680a6eabd > . [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

[22] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში, გვ. 132, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022050612391096568.pdf [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

სასამართლო განჩინებით.“ აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე პატიმრობა შეფარდებული ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის შეზღუდვისთვის მოტივირებული დადგენილების აუცილებლობის არ ქონა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.[23]

პენიტენციური კოდექსის პროექტი არ ითვალისწინებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას - „გაუქმდეს ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციის შესაძლებლობის შეზღუდვა, როგორც პროკურორისა და გამომძიებლის გადაწყვეტილების, ისე სადისციპლინო სახდელის სახით“. მნიშვნელოვანია, რომ პენიტენციური კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებულ ჩამონათვალს, რომელზეც არ ვრცელდება შეზღუდვა, დაემატოს „ბრალდებულის ადვოკატი“. პატიმრობა შეფარდებულ ბრალდებულებს, რომელთაც გამომძიებლის/პროკურორის გადაწყვეტილებით შეზღუდული აქვთ დარეკვის უფლება, უნდა ჰქონდეთ ადვოკატებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა.

ნიშანდობლივია, რომ დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის 2022 წლის 18 თებერვლის N15-2/2008 წინადადებით მიწოდებული პრობლემა საქართველოს პარლამენტმა სრულად გაიზიარა. პარლამენტის ინიციატივით შედგა სამუშაო შეხვედრაც რელევანტური უწყებების მონაწილეობით, მომზადდა კანონპროექტიც და მოხდა დაინიცირებაც. ამ ეტაპზე პროექტი მეორე მოსმენით უნდა განიხილოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა.[24] სახალხო დამცველის აპარატი იმედოვნებს, რომ ცვლილებები მალე აისახება კანონში და პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს ადვოკატებთან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალება მიეცემათ. თუმცა, აქვე ხაზს ვუსვამთ, ამ ცვლილების ახალ პენიტენციურ კოდექსში ასახვის აუცილებლობასაც.

პენიტენციური კოდექსის პროექტი არ ითვალისწინებს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობის გაზრდას.

სახალხო დამცველის ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, ტელევიზორისა და რადიომიმღების ქონა უნდა განსაზღვრულიყო, როგორც უფლება და არა პრივილეგია. ამასთან, როგორც სახალხო დამცელი, ასევე წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი გასცემს რეკომენდაციას, რომ დაუშვებელია დისციპლინური სანქციის სახით ტელევიზორის/ რადიომიმღების ქონის აკრძალვა.[25] დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ახალი რედაქციით ტელევიზორის და რადიომიმღების შეძენა აღარ არის დამოკიდებული დაწესებულების დირექტორის თანხმობაზე, თუმცა ტელევიზორით და რადიომიმღებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა კვლავ დისციპლინური სანქციების ჩამონათვალშია.

---

[23] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 22 ივლისის საკონსტიტუციო სარჩელი №1632 ხელმისაწვდომია: < https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11960 > [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

[24] იხ. < https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/321090?fbclid=IwAR3aZl4DKOYdrpS5sELRFXFfJgVDRqLrSpPuUJghj5IWhWiAQu-iEA99p6I >

[25] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში 2018 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიში. პარა. 100. ხელმისაწვდომია: < https://rm.coe.int/1680945eca > [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

ამასთან, საყურადღებოა კოდექსის პროექტის 118-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ „თუ პირადი რადიომიმღების ან/და ტელევიზორის გამოყენებით ირღვევა პენიტენციური დაწესებულების დებულება და სხვა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიმშვიდე, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია ჩამოართვას ბრალდებულს/მსჯავრდებულს ტექნიკა და გადასცეს მის ახლო ნათესავს.“ რეალურად, პრაქტიკულად ერთი და იმავე საფუძვლით, რადიომიმღებისა და ტელევიზორის ჩამორთმევა გათვალისწინებულია კოდექსის ორი დებულებით. გაუგებარია, დირექტორმა რა შემთხვევაში რომელი დებულება უნდა გამოიყენოს, უბრალოდ ჩამორთმევა 118-ე მუხლის შესაბამისად, თუ დისციპლინური სახდელის სახით ჩამოართვას აღნიშნული ტექნიკა. ასევე გაუგებარია, 118-ე მუხლის საფუძველზე, რა ვადით ჩამოერთმევა ეს ტექნიკა პატიმარს და პატიმრის ინდივიდუალური საკუთრება რატომ გადაეცემა მესამე პირს.

პენიტენციური კოდექსის პროექტის 115-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია მოწმდება. შემოწმება მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურე უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა. შეზღუდვის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს.

მართალია, დადგენილია კორესპონდენციის გამგზავნისთვის მისი გაგზავნის შეზღუდვის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, თუმცა არ არის განსაზღვრული ხსენებული კორესპონდენციის შენახვის ვადა და შემნახველი, შესაბამისი რეესტრის წარმოების ვალდებულება და გაგზავნის შეზღუდვის კანონიერების და დასაბუთების გადამოწმების შესაძლებლობა.

პენიტენციური კოდექსის პროექტის 116-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ პირს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს არანაკლებ 2 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – 1 სატელეფონო საუბარი არანაკლებ 15 წუთისა.

პენიტენციური კოდექსის პროექტის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-3-მე-5 ნაწილებით განსაზღვრული სატელეფონო საუბრის ლიმიტები, აგრეთვე ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე დაკავშირების შემთხვევებზე. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, საქართველოს სახალხო

დამცველისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის სატელეფონო საუბარი ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების ხარჯით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სატელეფონო საუბრის განხორციელების წესი განისაზღვრება პენიტენციური დაწესებულების დებულებით.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველს ხსენებულ ჩამონათვალში ადვოკატების დამატებაზე გაცემული აქვს საკანონმდებლო რეკომენდაცია. პრობლემა გაიზიარა პარლამენტმა და მომზადდა კანონპროექტი. პარლამენტის პოზიციით, იმ ბრალდებულებსაც უნდა ჰქონდეთ ადვოკატებთან დაკავშირების შესაძლებლობა, რომლებსაც არ აქვთ შეზღუდული საუბრის უფლება, თუმცა, ამოწურული აქვთ ლიმიტი და არ მიაჩნიათ ხელოვნურად ბრალდებულების შეზღუდვა მიზანშეწონილად იმ პროცესში, რომ ბრალდებულებმა ეფექტიანი დაცვის უფლებით ისარგებლონ. კანონპროექტი მიღებული არ არის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეს საკითხი ხელოვნურად არ დანაწევრდეს და კოდექსის პროექტში აისახოს პატიმრების უფლება აისახოს ადვოკატებთან ტელეფონის საშუალებით დაკავშირების შესაძლებლობაზე.

პენიტენციური კოდექსის პროექტის 121-ე მუხლის თანახმად, საოჯახო პაემნის უფლება მხოლოდ ქალ მსჯავრდებულებს აქვთ, ხოლო კაცი მსჯავრდებულები ამ უფლებით არ სარგებლობენ. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების ამგვარი დაყოფა გაუგებარი და ალოგიკურია. საგულისხმოა, რომ მოქმედი კანონის ანალოგიური ჩანაწერი სახალხო დამცველმა გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში.[26] ვფიქრობთ, კაც მსჯავრდებულებსაც უნდა ჰქონდეთ საოჯახო პაემნის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

პენიტენციური კოდექსის პროექტის 122-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს პატიმრობაში ყოფნის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანგრძლივი პაემანი. მისასალმებელია, რომ ბრალდებულს ხანგრძლივი პაემნის უფლება მიენიჭა, თუმცა პროექტის გარდამავალი დებულებებით, მისი ამოქმედება 2025 წლისთვის გადაიდო, რაც ნამდვილად უარყოფითად უნდა შეფასდეს.

- **თავი XX. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შრომა**

პენიტენციური კოდექსის პროექტის 127-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს ხელფასი ერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე. ხელფასის სრული განკარგვის უფლება ბრალდებულს/მსჯავრდებულს მიეცემა გათავისუფლებისას. მას უფლება აქვს, ეს თანხა თავისი შეხედულებისამებრ გადაუგზავნოს ახლო ნათესავებსა და სხვა პირებს.

[26] იხ. კონსტიტუციური სარჩელი N1737 https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14555 [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და გაუგებარია აკრძალვის ლოგიკა, რატომ ეკრძალება პატიმარს საკუთარი ქონების/თანხის განკარგვის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ ხელფასი აღემატება პატიმრის მოხმარებისთვის დადგენილ ლიმიტს, პატიმარს უნდა მიეცეს ხელფასის ლიმიტის ფარგლებში დახარჯვის უფლება, ასევე, თუ აღარ იმუშავებს - მისი გამოყენების შესაძლებლობაც უნდა მიეცეს.

- **თავი XXII. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია**

მნიშვნელოვანია პენიტენციური კოდექსის პროექტმა გაითვალისწინოს მოკლევადიანი ფსიქო-სოციალური ტრენინგები ბრალდებულებისთვის, რაც დაეხმარებათ სტრესთან გამკლავებაში. ასევე მნიშნელოვანია, ბრალდებულებს ჰქონდეთ რეკრეაციული აქტივობები და დღის განმავლობაში ჰაერზე ყოფნის უფრო მეტი შესაძლებლობა. სახალხო დამცველმა 2018 წელს გასცა რეკომენდაცია პატიმრობით გამოწვეულ ფსიქოემოციურ პრობლემებთან გასამკლავებლად, პატიმრობაში მყოფი ბრალდებულებს ფსიქოლოგიური დახმარების, მათ შორის სტრესის მართვის პროგრამაში ჩართვის თაობაზე. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი კი ხაზს უსვამს მსჯავრდებულებისა და ბრალდებულებისათვის სარეაბილიტაციო პროგრამების თანაბრად ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას. [27]

ასევე მნიშვნელოვანია, პენიტენციურ კოდექსში გაიწეროს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების წარმოების ვალდებულება ყველა მსჯავრდებულზე და ასევე მსჯავრდებულების სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად, დაიწყოს მუშაობა ისეთი მექანიზმის შემოღებაზე, რომელიც უშუალო გავლენას მოახდენს დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე.[28]

- **დამატებითი გარანტიები**

სახალხო დამცველი წლების განმავლობაში გასცემს რეკომენდაციას პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში ინტეგრაციის შესახებ, ვინაიდან სამედიცინო სამსახურის სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გაერთიანება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროფესიულ დამოუკიდებლობას და იწვევს პატიმრის მხრიდან ექიმის მიმართ ნდობის შემცირებას.[29] აღნიშნულ საკითხზე 2021 წელს განხორციელებული ვიზიტის ანგარიშში წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა კვლავ გასცა რეკომენდაცია სახელმწიფოს მიმართ და მოითხოვა კონკრეტული თარიღი, რა დროშიც მოხდება სამედიცინო სამსახურის სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში ინტეგრირება.[30] აქედან გამომდინარე, მნიშნელოვანია ახალ კოდექსშივე იყოს ეს საკითხი

---

[27] 2021 წლის 27 -24 მაისის წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ad hoc ვიზიტის შემდგომი ანგარიში. პარა. 25 (2018 წლის ვიზიტის 48-ე პარაგრაფი). ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/1680a6eabd > [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

[28] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში, გვ. 105, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022050612391096568.pdf [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

[29] აღნიშნულ პრობლემაზე იხილეთ ვრცლად პრევენციის მექანიზმის 2021 წლიური ანგარიში, გვ. 56.ხელმისაწვდომია < https://ombudsman.ge/res/docs/2022050612391096568.pdf > [ბოლოს ნანახია: 12.12.2022].

[30] 2021 წლის 27 -24 მაისის წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ad hoc ვიზიტის შემდგომი ანგარიში. პარა. 28. ხელმისაწვდომია < https://rm.coe.int/1680a6eabd > [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

გათვალისწინებული და გარდამავალი დებულების სახით მიეთითოს, თუ როდის მოხდება სამედიცინო სამსახურის სრული გამიჯვნა.

მნიშვნელოვანია, პენიტენციური კოდექსით განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულების ექიმების ვალდებულება, პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის სხეულის დაზიანების ყველა შემთხვევაში, შეაფასოს, რამდენად შეესაბამება დაზიანება პატიმრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მისი წარმოშობის შესახებ და შესაბამის დოკუმენტში წერილობით მიუთითოს, გაუჩნდა თუ არა ეჭვი შესაძლო ძალადობაზე; ასევე, განისაზღვროს, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ძალადობაზე ეჭვის არსებობისას, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება. ასევე, მნიშნელოვანია, პენიტენციური კოდექსით განისაზღვროს, რომ ექიმის პატიმართან შეხვედრისას მესამე პირის დასწრების შემთხვევაში, წერილობით დასაბუთდეს დასწრების მიზეზი.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პენიტენციური კოდექსის განსახილველი პროექტი, არაერთი დადებითი ნორმის მიუხედავად, არ შეიცავს მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხებს, რაზეც სახალხო დამცველი არაერთი წელია მიუთითებს. მიგვაჩნია, რომ მოსაზრებების კანონმდებლობაში ასახვა ხელს შეუწყობს პატიმართა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და გთხოვთ, წინადადებაში წარმოდგენილი საკითხების გაზიარებას.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.